გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 115 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 107 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 1 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 1 საკითხის განხილვაში. დავესწარი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 1 სხდომას მონაწილეობა მივიღე 5 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- მიმდინარე წლის ივნისში მქონდა შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თედოწმინდის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა მოსახლეობის პრობლემები და მოთხოვნები. მოსახლეობისთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზა, რომელიც საჭიროებდა მოწესრიგებას. მივეცი პირობა, რომ აღნიშნული გზა მოიხრეშებოდა. გზა მოიხრეშა.
- ივლისის თვეში შევხვდი გარეჯვარისა და რეხის მოსახლეობას. მათი მოთხოვნა იყო ცენტრალური გზაზე დაზიანებული ასფალტო-ბეტონის საფარის აღდგენა. საკითხი მოწესრიგდა, გაკეთდა ცენტრალური გზის ორმოული შეკეთება.
- ვითვალისწინებ რა ქვეყანაში შექმნილ სოციალურ მდგომარეობას, აქედან გამომდინარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საყოფაცხოვრებო პრობლემებს, გამოვდივარ ინიციატივით: იძულებით გადაადგილებულ პირებს გაუნახევრდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის საფასური.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2022 წლის 20 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მიხეილ ვახტანგაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტყვიავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ ვახტანგაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ ვახტანგაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ

გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ ვახტანგაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი დარბუაშვილმა, ჯანგილ მჭედლიძემ და გია ქრისტესიაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი : მიხეილ ვახტანგაშვილი;